გაცვლითი პროგრამა EDHEC-ის ბიზნეს სკოლაში:

GIPA-მ დაამყარა პარტნიორობა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ბიზნეს სკოლასთან (EDHEC Business School), რომლის ფარგლებშიც GIPA-ს სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა მომავალ სემესტრში (გაზაფხული 2020-2021) სწავლის საფასურის გადასახადის გარეშე ისწავლონ საფრანგეთში (ნიცის ან ლილის კამპუსში).

იხილეთ მოკლე ვიდეო კლიპი ბიზნეს სკოლის შესახებ: https://www.youtube.com/watch?v=0p3NYQLtatc

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს EDHEC-ის ბიზნეს სკოლასთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2 საუკეთესო სტუდენტის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბიზნეს ადმინისტრირებისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამების მეორე და მესამე კურსის სტუდენტებს.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

საფრანგეთში სწავლის ხანგრძლივობა:
ერთი სემესტრი (2021 წლის გაზაფხულის სემესტრი: 2021 წლის იანვარი - 2021 წლის მაისი).
სასწავლო განრიგის, ინგლისურენოვანი საგნების ჩამონათვალის, საფრანგეთში ცხოვრებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე

სწავლის საფასური:

EDHEC-ის ბიზნეს სკოლასთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტს არ მოუწევთ საფრანგეთში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცაღა, შერჩეულმა სტუდენტმა უნდა დაფაროს GIPA-ში მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტმა თავად უნდა დაფაროს საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);
- ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 28 სექტემბრის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 საუკეთესო აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- აპლიკანტის მოტივირება

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!